

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა
სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 09

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 65660 ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 65660 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები. ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრება აღრიცხვაზე მყოფი 134 ბენეფიციარით.

11. მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამაში ჩართვა მოხდება აღრიცხვაზე მყოფი და შემდგომში ახალი ბენეფიციარის მომართვის საფუძველზე.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი	65660		
	დამატებითი				

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ბენეფიციარის რაოდენობა	პროცედურის რაოდენობა	დღიური დახმარების მოცულობა (ლარი)	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების თანხით უზრუნველყოფა	134	70	7	65660
სულ ჯამი					65660

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. მშობლის (მეურვის) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა № IV-100/ა.
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.
6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაცია.

დაფინანსება განხორციელდება სამედიცინო ცენტრებიდან წარმოდგენილი შესაბამისი პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურების დამადასტურებელი რეესტრის საფუძველზე, პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით. ჩარიცხვა მოხდება განმცხადებლის პირად ანგარიშზე.

შენიშვნა: პროგრამის განაწილება დროში არ არის შეზღუდული, რის გამოც მოსალოდნელია კვარტალურად არათანაბარი შესრულება.